2018

ანგარიში

საქართველოს საავტომობილო
გზების დეპარტამენტი
ROADS DEPARTMENT OF GEORGIA

ჩვენს შესახებ

საქმიანობის არეალი

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი საერთაშორისო მნიშვნელობის 1520 კმ. და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის 5371,1 კმ. სიგრძის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებას, პერიოდული შეკეთებას, რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციას, მოდერნიზაციასა და მშენებლობას ახორციელებს

	რეგიონი	ფართობი (კმ.)	მოსახლეობა	დეპარტამენტის გზა (კმ.)
1	სამეგრელო-ზემო სვანეთი	7,441	330 761	866,6
2	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4,954	32 089	388,3
3	იმერეთი	6,516	533 906	965,1
4	შიდა ქართლი	6,200	263 382	742,8
5	მცხეთა-მთიანეთი	6,785	94 573	606,2
6	კახეთი	11,309	318 583	842,1
7	ქვემო ქართლი	6,528	423 986	863,7
8	სამცხე-ჯავახეთი	6,413	155 900	534,2
9	აჭარის ა.რ.	2,899	337 000	215,3
10	გურია	2,033	113 000	288,7
11	აფხაზეთი	8,665	120 000	602,6

მიზანი

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიზანს, საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის ევროპულ სტანდარტებთან ინტეგრაცია და გზით მოსარგებლეთა საჭიროებების ეფექტური დაკმაყოფილება წარმოადგენს.



მშენებლობა - 2018

2018 წელი მნიშვნელოვანი იყო საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის კუთხით, დასრულდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი და აქტიურად გრძელდება E60-E70 საერთაშორისო მაგისტრალების მშენებლობა

2018 წელს, დასრულებული მნიშვნელოვანი პროექტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია:

ქობულეთის შემოვლითი გზა

ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობამ მნიშვნელოვნად განტვირთა ქობულეთის საკურორტო ზონა ტრანზიტული მოძრაობისგან. თბილისიდან ბათუმამდე მგზავრობის დრო კი 30 წუთით შეამცირა.

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზაზე, **დარიალის ხეობაში** აშენდა 1,7 კმ. სიგრძის საავტომობილო გვირაბი, რომელიც სტიქიის დროს მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფს.

აშენდა **სტეფანწმინდა-სამების ეკლესიამდე** მისასვლელი გზა - 5.6 კმ.

აღმოსავლეთ - დასავლეთის მიმართულებით აშენებულია 190 კმ. გზა, ამჟამად მიმდინარეობს 77 კ.მ გზის მშენებლობა, რომელიც ეტაპობრივად დასრულდება 2020-2023 წლისთვის. დაწყებულია სამობილიზაციო და მოსამზადებელი სამუშაოები 81 კმ. გზაზე, რომლის დასრულება გათვალისწინებულია ეტაპობრივად 2021 წლისთვის. სატენდერო პროცედურები მიმდინარეობის 26,3 კმ. მაგისტრალურ გზაზე, ღირებულებით 1,3 მლრდ ლარი, რომლის დასრულება იგეგმება 2022 წლისთვის. მომდევნო წლისთვის იგეგმება 43 კმ. მაგისტრალური გზის მშენებლობა, რომელიც დასრულება ეტაპობრივად 2023 წლამდე. საგზაო უსაფრთხოების ყველა თანამედროვე სტანდარტი და სართაშორისო ნორმები. საერთო ჯამში, **მანძილი 30 კმ-ით შემცირდება, ხოლო გადაადგილების სიჩქარე 80% - 100%-ით გაიზრდება, მგზავრობის დრო კი 50%-ით შემცირდება, რომელიც 8 საათიდან 4 საათს შეადგენს.**

რეაბილიტაცია - 2018

2018 წელი, გამორჩეული იყო რეაბილიტაციის კუთხითაც. დასრულდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი. ამ მიმართულებით, აქტიურად გაგრძელდება მუშაობა 2019 წელსაც.

რეაბილიტაციის მნიშვნელოვან პროექტებში შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი გზები:

ცაგერი - ლენტეხი - ლასდილის 25 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც აშენდა ახალი ხიდი. ცაგერი-ლენტეხი-მესტიას რკალის სრული რეაბილიტაცია მოხდება ეტაპობრივად 2019-2022 წლებში. აღნიშნული პროექტით ლეჩხუმი ტურისტულად ახალ სიცოცხლეს შეიძენს, ხოლო სვანეთში ახალ ტურისტულ ნაკადებს შექმნის.

ლეჩხუმში **ალპანა-მამისონის** გზის 20 კმ-მდე მონაკვეთის რეაბილიტაცია, რომელიც წარმოადგენს ქუთაისი-ჭრებალოს დამაკავშირებელ უმოკლეს გზას.

ფოთიდან ყულევის ტერმინალის მიმართულებით 20 კმ.-მდე გზის რეაბილიტაცია. აღნიშნული მონაკვეთს კაპიტალური შეკეთება ორ ათეულ წელზე მეტია არ ჩატარებია.

ნიჩბისი-დიდგორი-დიდი თონეთის საავტომობილო გზის 24 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია. არსებულმა რეაბილიტაციამ გზა 40 კილომეტრით დაამოკლა და ამ დროისათვის, წარმოადგენს ორი რეგიონის შიდა-ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის დამაკავშირებელ უმოკლეს გზას.

„საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში 2018 წელს, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 218 კმ. გზას. აშენდა 8 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 21 სახიდე გადასასვლელს“

სტიქიის პრევენციის პროგრამა - 2018

ყოველწლიურად ბუნებრივი კატაკლიზმებითა და სტიქიებით მიყენებული ზარალი მილიონობით ლარს აღწევს, რაც დიდ ზიანს აყენებს რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას და ასევე, ხელს უშლის ბიზნესის განვითარების შესაძლებლობას. მოსალოდნელი სტიქიების პრევენციისა და ზარალის შემცირების მიზნით, 2018 წელს დაიგეგმა და 2019 დაიწყება სტიქიების პრევენციის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია რისკის შემცველ გზებსა და მდინარეებზე ნაპირსამაგრი სამუშაობის განხორციელება, მდინარეების კალაპოტების გაწმენდა, სანიაღვრე არხების მოწესრიგება და ღვარცოფის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება.

დარიალის გვირაბი

2018 წელს დასრულდა 1700 მეტრიანი გვირაბის მშენებლობა, რომელიც სტიქიების პრევენციის პროგრამის საუკეთესო მაგალითია. 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, რიკოთის საავტომობილო გვირაბის მშენებლობის შემდეგ, მსგავსი მასშტაბის გვირაბის მშენებლობა საქართველოში არ განხორციელებულა. სტიქიის პერიოდში სრულად წყდებოდა გზაზე სატრანზიტო ფუნქცია რაც ქვეყნისთვის, საშუალოდ 1 მილიონ ლარამდე დანაკარგი იყო ყოველდღიურად. გვირაბის აშენების შედეგად, დარიალის ხეობაში გადაადგილება უსაფრთხოდ არის შესაძლებელი

სტიქიის პრევენციის პროგრამა - 2018

შავი ღელე

„შავი ღელეს“ სახელით ცნობილი მეწყრული ზონა მესტიაში, სადაც ხშირად საავტომობილო გზაზე გრუნტის დიდი მასების ჩამოდინება აღინიშნება და ფერხდება მძრაობა. პრობლემის მოსაგვარებლად, სტიქიის პრევენციისა და მოძრაობის უსაფრთხოების ღონისძიებების გასატარებლად, 2018 წელს დაიწყო საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.დეტალური პროექტის მომზადება 2019 წლის ოქოტმბერში უნდა დასრულდეს. დაიგეგმა საპროექტო სამუშაოების შესყიდვა. პროექტირების პერიოდად განსაზღვრულია 2019 წელი, ხოლო უშუალოდ სამუშაოების დაწყება დაგეგმილია 2020 წელს.

ფშაველი-აბანო-ომალო

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზის 56-ე კმ-ზე განვითარდა მეწყრული პროცესი. ჩამოსული კლდოვანი მასა ავსებს გზის სავალ ნაწილს და შესაბამისად კეტავს საავტომობილო მოძრაობას. ჩამოსული მასა ჩადის მდინარეში და ავიწროვებს კალაპოტს, რის შედეგადაც იწევა წყლის დონე და ფარავს არსებულ გზას.

სტიქიის პრევენციისთვის და არსებული პრობლემების მოსაგვარებლად და ალტერნატიული მიმართულების გზის მონაკვეთის ასაშენებლად, 2018 წელს

> 2018 წელს, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის დაიხარჯა 17,9 მლნ. ლარი და დასრულდა 17 ობიექტი

სტიქიის პრევენციის პროგრამა - 2018

მათ შორის:

- მესტიის მუნიციპალიტეტში, ჭუბერის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი მნიშვნელობის გზის მონაკვეთზე განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები;

- ფშაველი-აბანო-ომალოს ს/გზის 56-ე კმ-ზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის აღდგენის, დროებითი პრევენციული ღონისძიებების სამუშაოები;

- ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის ცალკეული დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა;

- ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის მე-7 კმ-ზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის აღდგენის დროებითი პრევენციული ღონისძიებები;

- სენაკის მუნიციპალიტეტში უშაფათის, ეკის, ძველი სენაკის და ლეძაძამის ადმინისტრაციულ ერთეულებში სტიქიის შედეგად დაზიანებული სახიდე გადასასვლელის ნაცვლად მოეწყო დროებითი სახიდე გადასასვლელი, ასევე მოეწყო მდინარის დამცავი ნაგებობები და მისასვლელი გზები.

ტურისტული ინფრასტრუქტურა- 2018

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება უდიდეს როლს თამაშობს რეგიონის მდგრად ეკონომიკურ განვითრებაში და სიღარიბის დაძლევაში, რადგნ ტურიზმიდან მიღებული სარგებლის ყველაზე დიდი წილი სწორედ რეგიონში რჩება.

გერგეტის სამებამდე მისასვლელი გზა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტეში დასრულდა **გერგეტის სამებამდე მისასვლელი 5.6 კმ.** გზის მშენებლობა, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს ტურისტთა გადაადგილებას ამ მონაკვეთზე და გაზრდის დამთვალიერებელთა რიცხვს.

დავით გარეჯის მონასტრის გზა

2018 წელს, გამოცხადდა ტენდერი დავით გარეჯის მონასტერეთან მისასვლელი 14 კმ-იანი გზის მონაკვეთის რეაბილიტაციაზე.

ძამას ხეობა

2018 წელს გამოცხადდა ტენდერი ძამას ხეობაში, 15 კმ-იანი გზის რეაბილიტაციაზე სადაც მდებარეობს ათეულობით ტურისტული ობიექტი. ამ გზით სარგებლობს მთის 18 სოფელი და 22 სოფელს აკავშირებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ობიექტებთან.

ხვამლის მთა

გამოცხადდა ტენდერი ხვამლის მთის გზის რეაბილიტაციაზე, რომელიც ლეჩხუმის პოპულარიზაციას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს

გორდი - ძეძილეთი

2018 წელს, დაიწყო გორდი-ძეძილეთის გზის მშენებლობა, რომელიც საშუალებას მოგვცემს პრომეთეს მღვიმედან 60 კმ-ის ნაცვლად 9 კმ-ში ოკაცეს კანიონში მივიდეთ.

მთის განვითარება- 2018

2018 წელს, დასრულდა მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიის შემუშავება, რომლის მთავარი მიზანი მაღალმთიანი დასახლებების მდგრადი განვითარება, მთაში მცხოვრებთა სოციალური მხარდაჭერა და სერვისების ხელმისაწვდომობის სრულად უზრუნველყოფაა

ზემო იმერეთი - რაჭა

2018 წელს, მთის გზების პროგრამის ფარგლებში ზემო იმერეთი - რაჭის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე დაიგეგმა 51.3 კმ-იანი 2 ზოლიანი საავტომობილო გზის მშენებლობა, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის სატრანსპორტო მოძრაობას, მომსახურებისა და უსაფრთხოების ხარისხს. 2018 წელს, დასრულდა 3 მონაკვეთის პროექტირება, სიგრძით 18,2 კმ. პროექტირების ღირებულებამ 45,3 მლნ. ლარი შეადგინა. 2019 წლის პირველ კვარტალში დაგეგმილია 3 ტენდერის გამოცხადება, ხოლო დანარჩენ 3 (28.1კმ) მონაკვეთზე ტენდერი დასრულებულია, მიმდინარეობს სამუშაოები.

ბაღდათი-აბასთუმნის საავტომობილო გზა

2018 წელს, დაიგეგმა ბაღდათი-აბასთუმნის საავტომობილო გზის მშენებლობა-მოდერნიზაცია 61 კმ-იანი 2 ზოლიანი გზის მონაკვეთის. გზა იფუნქციონირებს 12 თვის განმავლობაში, მაშინ როცა აქამდე 6 თვის მანძილზე გადაადგილება ფაქტიურად შეუძლებელი იყო. ეს მონაკვეთი შეამცირებს სამგზავრო მანძილსა და საქართველოს ცენტრალური ნაწილიდან თურქეთის საზღვრამდე. 2018 წელს, ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას 4 მონაკვეთზე, საერთო სიგრძით 30,2 კმ. გაფორმდა საპროექტო ხელშეკრულება, ღირებულებით 42,6 მლნ. ლარი. 2019 წელს, დაგეგმილია ბოლო მეხუთე მონაკვეთზე ტენდერის გამოცხადება.

სნო - ჯუთა - როშკა - შატილი - ომალო - ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტას საავტომობილო გზის მშენებლობა

2018 წელს, დაიგეგმა მშენებლობა-რეაბილიტაცია 239,4 კმ-მდე საავტომობილო გზის სნო - ჯუთა - როშკა - შატილი - ომალო - ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტას მონაკვეთზე. ამ პროექტით მცხეთა-მთიანეთის - ფშავ ხევსურეთის - თუშეთის რეგიონი და ახმეტის რაიონი დაუკავშირდება ერთმანეთს. 2018 წელს, მოხდა 7 მონაკვეთზე, სამშენებლო ხელშეკრულების გაფორმება, სიგრძით 65,3 კმ. და ღირებულებით 26,2 მლნ. ლარი.

საგზაო უსაფრთხოება - 2018

საგზაო ქსელის უსაფრთხოების ამაღლება - უსაფრთხო დერეფანი, უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო სოფელი - 2018 წელი

განხორციელებული აქტივობები:

იმერეთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება (21 მონაკვეთი), ღირებულებით – 4 117 601 ლარი.

შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის უსაფრთხოების არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ინსპექტირების განხორციელება (სულ 115 მონაკვეთი სიგრძით 2607,8 კმ);

თბილისი-თიანეთის და ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზებზე მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების გასაუმჯობესებელი ღონისძიებები;

E60 ავტომაგისტრალის (ნატახტარი-აგარას მონაკვეთი) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გასაუმჯობესებელი ღონისძიებები;

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტების ფარგლებში გარე განათების სამუშაოების განხორციელება;

- წრიული მოძრაობები;
- საგზაო ნიშნები;
- ლითონის ზღუდარები;
- ტროტუარები;
- ბილიკები;
- პარაპეტები;
- მოციმციმე შუქურები;
- ბოძკინტები;

საგზაო უსაფრთხოება - 2018

მანევრირების და მაღალი სიჩქარის მართვა სახიფათო მოსახვევებში

2018 წელს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის 115 მონაკვეთის უსაფრთხოების არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, განხორციელდა ინსპექტირება და დაისახა შესაბამისი გასაუმჯობესებელი ღონისძიებები.

დაფინანსების წყარო: – სახელმწიფო ბიუჯეტი - 1 500 000 ლარი.

2018 წელს, განხორციელდა **თბილისი-თიანეთის** და **ბათუმი-ახალციხის** საავტომობილო გზებზე საგზაო უსაფრთხოების გასაუმჯობესებელი ღონისძიებები:

დაფინანსების წყარო – მსოფლიო ბანკი და სახელმწიფო ბიუჯეტი ჯამში 3 327 000 ლარი;

- საგზაო ნიშნები;
- ლითონის ზღუდარები;
- გაბიონის კედლები;
- ბოძკინტები;

2018 წელს დაიწყო და 2019 წელს გაგრძელდება სამუშაოები, E60 ავტომაგისტრალის **ნატახტარი-აგარას მონაკვეთზე** საგზაო უსაფრთხოების გასაუმჯობესებელი ღონისძიებების განსახორციელებლად. დასრულება დაგეგმილია 2019 წლის აპრილის თვეში.

დაფინანსების წყარო – მსოფლიო ბანკი - 6 675 897 ლარი;

- საგზაო ნიშნები;
- ლითონის ზღუდარები;
- შემანელებელი და ამაჩქარებელი ზოლები;
- ბოძკინტები;
- მგზავრთა მოსაცდელები;
- ადგილობრივი საგზაო ქსელი;
- მიერთებების მოწესრიგება;

საგზაო უსაფრთხოება - 2018

2018 წელს დაიწყო და 2019 წელს გაგრძელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტების ფარგლებში დარჩენილ მონაკვეთებზე (აგარა-ზემო ოსიაურის და ქობულეთის შემოსავლელ გზაზე) გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოების განსახორციელება - სულ 20 კილომეტრი;

დაფინანსების წყარო – მსოფლიო ბანკი და აზიის განვითარების ბანკი – 5 700 000 ლარი.

საგზაო აქტივების მართვა - 2018

ყოველწლიურად ხორციელდება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გზების ქსელზე მონაცემთა შეგროვება და განახლება საფარის საერთაშორისო უსწორმასწორობის (IRI) ინდექსის შესახებ, რაც იძლევა საშუალებას გაანალიზდეს მიღებული ინფორმაცია საგზაო ქსელის საფარის მდგომარეობის შესახებ;

ასევე, ცალკეულ საავტომობილო გზებზე ხდება (200-ზე მეტ წერტილში) ავტომატური დამთვლელი ხელსაწყოებით ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობის გათვლები;

მონაცემთა ანალიზისათვის გამოიყენება HDM-4 მოდელი. სარეაბილიტაციო გეგმების შესამუშავებლად ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს HDM-4 მოდელი, მოდელის საშუალებით ყოველწლიურად განახლებული 5 წლიანი საგზაო ქსელის პროგრამა გამოიყენება როგორც დამხმარე ინფორმაცია დაგეგმარებისათვის და იგი დაფუძნებულია ხარჯი-სარგებლის ანალიზის და სოციალური სარგებლის განსაზღვრის მეთოდოლოგიებზე, პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით.

- დანერგილი სისტემები:
- GIS - გეოსაინფორმაციო სისტემა (სივრცული მონაცემების შექმნა, შენახვა, განახლება და ანალიზი);
- HDM-4 – გზების განვითარებისა და მართვის მოდელი – წარმოადგენს პროექტების სასიცოცხლო ციკლის მანძილზე ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის მოდელს;
- ROMDAS - საფარის უსწორმასწორობის კოეფიციენტის (IRI) გაზომვა-დამუშავება, გზის და საფარის ვიდეო გადაღება, გიროსკოპი, სივრცითი მონაცემების შეგროვება განახლება (GPS კოორდინატების დატანა) და პროგრამული უზრუნველყოფა;
- მოძრაობის ინტენსივობის საზომი ხელსაწყოები შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით.

სახელმწიფო და საერთაშორისო შესყიდვები- 2018

2018 წელს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო და საერთაშორისო შესყიდვების შედეგად გაფორმებული 178 ხელშეკრულების საერთო ღირებულებამ შეადგინა 2782,1 მლნ. ლარი. მათ შორის: სახელმწიფო შესყიდვები 158 ხელშეკრულება, ღირებულებით 610,8 მლნ.ლარი და საერთაშორისო შესყიდვები 20 ხელშეკრულება, ღირებულებით 2171,3 მლნ.ლარი.

გამოცხადებული ტენდერების შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა სამი კატეგორია:



შესრულება - 2018

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გაწეული სამუშაოების საკასო შესრულებამ 1204.3 მლნ. ლარი შეადგინა



	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
ბიუჯეტი	279.6	272.3	509.2	549.9	580.8	376.7	523	526.4	488.4	529.8	873.8	1204.3	1302
სტიქია-პრევენცია	6.0	8.1	7.0	14.6	17.7	9.3	7.4	10.2	6.9	11.7	7.5	17.9	10.0
ნაპირდაცვა					4.5	5.0	4.8	5.2	6.8	2.4	14.5	22.8	20.0
მიმდინარე შეკეთება	25.5	25.5	25.8	22.1	31.4	32.0	31.1	36.7	38.9	46.8	86.0	90.5	70.0
რაბილიტაცია-პერიოდული შეკეთება (მლნ.ლარი)	168.1	162.3	306.0	373.2	290.1	126.9	202.5	165.4	153.7	161.3	212.8	275.6	271.5
მშენებლობა (მლნ.ლარი)	74.0	67.7	156.5	126.1	215.9	187.7	265.1	292.8	267.1	290.2	461.3	687.9	812.0

2018 წელს, ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 1,310,820,000 ლარის სამუშაოების შესრულება, რომლის განხორციელების პროცესშიც სხვადასხვა გარემოებების გამო საჭირო გახდა დაკორექტირება და ჯამურად, საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებისთვის შეადგინა 1,144,681,000 ლარი. 2018 წლის ბოლოსთვის ბიუჯეტის შესრულებამ შეადგინა ჯამურად 1,204,329,593 ლარი, რომელიც ნაწილდება გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვისთვის - 468,916,067 ლარი, ხოლო ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობისთვის 728,031,370 ლარი. 2018 წლის ოქტომბრივმა შესრულებამ 2018 წლის გეგმასთან მიმართებაში შეადგინა 105%.

შესაძლებლობების განვითარება - 2018

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით საავტომობილო გზების დეპარტამენტის ყველა თანამშრომელს ჩაუტარდა სწავლება თემაზე -„გუნდური შეჭიდულობა“

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)-ის დაფინანსებით დეპარტამენტმა დაგეგმა „პილოტ-პროექტის“ ფარგლებში, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, სემინარების ორგანიზება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტებისათვის.

იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო„JICA”-ს ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით, თანამშრომლებმა იაპონიაში დაგეგმილ სასწავლო პროგრამებში მიიღეს მონაწილეობა სტიქიური უბედურებების მართვის, საინჟინრო სფეროსა და სხვა მიმართულებით.

აზიის განვითარების ბანკის „ADB”-ს მხარდაჭერით 2018 წელს „FIDIC”-ის ტიპის კონტრაქტების მართვის მიმართულებით 2-ჯერ გადამზადდა დეპარტამენტის 7-7 თანამშრომელი.

„ევროპისა და ცენტრალური აზიის საერთაშორისო გზების ფედერაცია“ დეპარტამენტს სთავაზობს, თანამშრომლების გადამზადებას ვიწრო სპეციალიზაციის მიმართულებით.

„მსოფლიო ბანკის“ მხარდაჭერით თანამშრომლები გადამზადდებიან:

- გზების შეფასების საერთაშორისო პროგრამის/სისტემის მიმართულებით („IRAP”);

- ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემების მართვის და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების თემებზე („IRF” - „საერთაშორისო გზების ფედერაციის“ პარტნიორობით);

- საგზაო აქტივების მართვის სისტემების განვითარება GIS/HDM4”-ის მიმართულებით.

განხორციელებული ღონისძიებები - 2018

2018 წლის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ გაიმართა სხვადასხვა ფორმატის 50-მდე შეხვედრა, სადაც დამსწრეთა რაოდენობა იყო დაახლოებით 2000-მდე.

მოწვეულ დამსწრეთა შორის იყვნენ:

- დარგის სპეციალისტები
- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები
- სამშენებლო კომპანიები
- დიპლომატიური კორპუსი
- ასოციაციები

2018 წელს, გაიმართა საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტების შესახებ ინფორმაციის, განსახლების სამოქმედო გეგმის, სკოპინგის და გზშ-ს საჯარო განხილვების მიზნით სამუშაოების ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივ მოსახლეობასა და სხვა დაინტერესებულ პირებთან სხვადასხვა შეხვედრა. ჩატარდა საჯარო და კერძო სტრუქტურის, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ასოციაციების წარმომადგენლებთან ერთად საგზაო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული განხილვები.